ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

ილუსტრირებული ჟურნალი

დეკემბერი
№ 24

1910

მცირე წლოვანთათვის ს.
წელიწადი მეექვსე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—ალილო,—ლექსი ი. ევდოშვილისა 3

II—კეთილის მყოფელი,—მ. გარიეულისა 5

III—მთესავი,—(ხალხური ლეგენდა-გადმოცემა გადმოდებული),
ანდრონისა 13

IV—შობის ხე,—ლექსი, შიო მღვიმელისა 15

V—ჩვენი ფუმფლია, ი. ევდოშვილისა 17

VI—მგელი და მეცხვარე,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა 21

VII—თივის მთიბავი ცხოველები,—(თარგმანი) ო. ჯრედა-
შვილისა 22

VIII—ა) შარადა,—ბ) რებუსი 24

წელიწადი მე-VI. № 24 დეკემბერი 1910 წ.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

243

ღვთის მშობელი შვილთან.
სურათი ნ. მ. ბენუტტისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

I—ალილო,—დექსი ი. ევდოშვილისა 3

II—კეთილის მყოფელი,—მ. გარიეულისა 5

III—მთესავი,—(ხალხური ლეგენდა-გადმოცემა გადმოდებული), ანზოლონისა 13

IV—შობის ხე,—ლექსი, შიო მღვიმელისა 15

V—ჩვენი ფუმფლია, ი. ევდოშვილისა 17

VI—მგელი და მეცხვარე,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა 21

VII—თევის მთიბავი ცხოველები,—(ოარგშანი) ფ. ჭრელაშვილისა 22

VIII—ა) შარადა,—ბ) რებუსი 24

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—ია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალილო.



ეფნის კომბალა გამოვგბერ,
თავ-დიდა, ტარით ჭრელაო,
ქრისტეს შობაა, ალილო,
ალილო, ბიჭო გელაო!

—

მზადა მაქვს ერთი კალათაც,
შიგ ჩაეტევა ყველაო:
კვერცხი, ლავაში, ნაზუქი,
ალილო, ბიჭო გელაო!

—

ზოგმა ხურჯინი ვატაროთ,
ზოგმა ვიძღეროთ დელაო,
ქრისტეს შობაა, ალილო,
ალილო, ბიჭო გელაო!

—

ქრისტეს შობაა ოცდა ხუთს,
აბ თვესა ხარობს ყველაო;
ჩვენც შემოვძახოთ ერთადა
ალილო, ბიჭო გელაო!

—

შენ, ეი, მარჯვედ იყავი,
იცოდე ჩემი შველაო;
თუ ძღლი გამოგვედევნა,
არ დავრჩე მარტოხელაო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორე შარშანაც, მამიავ,
მამღერა დელი-დელაო,
არ მოძეძველე და მურამ
კანჭები ჩამითხელაო!

—

ძაშ, აბა, მაღლა ასწიეთ
კომბლები ტარებ-ჭრელაო,
ჩავწმახნოთ, ჩავარაკრაკოთ
ალილო, ბიჭო გელაო!

ი. ევდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეთილის მყოფელი

ზარეულმა ზაქრომ უკანასკნელი ღერი შეშა შეუკეთა, ცეცხლი გაასწორა; ცეცხლზე სამი ქვაბი იდგა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დუღილში. ერთ ქვაბში იხარშებოდა ბურვაკის ბარკალი, მეორეში—სამი დედალი და ერთ მოზრდილ ქვაბში— დიდი ინდოური. ზაქრომ ხან ერთს ჩაჭკრა ჩანგალი, ხან მეორეს, ინდაური გადააბრუნა. მერე ფარანი აიღო, შიგ სანთელს მოუკიდა და გასწია შეშის საწყობ ფარდულში შეშის გამოსატანად.

ბნელოდა ძალზე. ფარანი ძლივს ბჟუტავდა, ზაქრომ ხელის ფათურით გააღო ფარდულის კარი, რომ არაფერს წამოსდებოდა, ნელა შევიდა შიგ, მივიდა დაწყობილ შეშებთან, გადმოიღო ერთი, ორი, სამი. დააწყო ტვიროი მერე იქვე მიბმულ ქათმებს მიუბრუნდა; ჭრელ დედალს ფეხზე მებმული წვრილი კანაფი დაჭხვევოდა ფეხებზე და ფართხალებდა. ზაქრო დაიკუზა და დაუწყო გამოხსნა ამ დროს თითქოს რაღაც სლოკინი ჩაესმა, ეური დაუგდო და უფრო გარკვევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგონა. ბავშვის ხმა იყო, მეზობლის მეორე ფარდულიდან. ისმოდა.

— ვინა ხარ მანდ? — გაეხმაურა ზაქრო.

ხმა მისწყდა, ზაქრო ისევ დაიხარა ქათმებისკენ, ისევ ძოისმა ბავშვის სლოკინი. ასლა-კი გაიმართა ზაქრო წელში, მივიდა ძუა კედელთან, კედელი ფიცრისა იყო, კარგად დაუგდო ყური და იცნო საწყალის, უპატრონოს ხმა.

— გიორგი, შენა ხარ, ბიჭო?.

— მე ვარ, ძია, მე.—შესძახა ბავშვმა.

— რა გინდა, გიორგი, ამ დროს მანდ?

— დამწყვდეული ვარ, ძია. დეიდამ დამამწყვდია.

— მოიცა, მე გამოგიხსნი მაგ ტყვეობიდან, თუ ზაქარო ვეოფილვარ. რაც ძალი ჰქონდა, მოსწია ერთ ფიცარს და მოამრო, ფიცარი განიერი იყო და თავისუფლად გამვრა შიგ. საცოდავი ბიჭი კუთხეში იყო ჩაკუნტული, თავი მუხლებში ჩაეყო და სიცივით ძაგძაგებდა.

— ბიჭო, ეგ რა მოგსვლია? რად დაგამწყვდია აქ იმ აფთარმა დედაკაცმა?

— შობის ხეს აწყობდნენ, სონას ხელიდან თეფში დავარდა, გასტეხა და მე დამაბრალა... მოდი, ძია, ამაღამ შეხვ ჩემთან იყავ და დილას გაგვიშვებს, აბა, რას იზამს?

— რას ამბობ, გიორგი! მე რომ აქ დავრჩე, ჩემს სამზარეულოს ვინ მიხედოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა ვქნა, ძია... მეშინიან... იცი, ზაქარიაზ... შემჯავრდა ჩემი დეიდა... ნეტარ შენი შვილი ვიყო... ან შენი ქალბატონისა... კარგი არ იქნება, ძია, ქალბატონის შვილი რომ ვიყო... აი, როგორ მიყვართავდი სახვალიო შობის ხეს, სულ ცხენებს და კურდღლებს დავკიდებდი ზედ, ძლიერ მიყვარს კურდღელი. იმიტომ ვაწვალებ და ვეთამაშები თქვენს კურდღელს.

ბავშვი სულ გამოიცვალა და მხარულს გუნებაზე დადგა, არც ცრემლები, არც წყლანდელი შიში და დარდი, აღარ სჩანდა იმის თვალებში.

— იცი, ძია, რა გითხრა? როცა გავიზრდები, მეც შენსავით მხარეული გავხდები, ძლიერ მომწონს შენი ხელობა. იცი, რას ვიზამ? ბატონის შვილების შობის ხეს, ფეხს რომ გაუკეთებ და დიდ დარბაზში შეაბრძანებენ, მე ჩემს სამზარეულოში ორშაბათის ყეენივით წამოვსჯიმავ ჩემს ბატარა შობის ხეს, დაუნთებ ირგვლივ სანთლებს, მერე ვიმღერებ და ვიმღერებ.

— დიდი კაცი რომ იქნები, განა მაშინაც გამართავ შობის ხეს?—ჰკითხა ზაქრომ და თან ისე გაერთო უბატრონოსთან ლაბარაკში, რომ გადაავიწყდა სამზარეულოც და ცეცხლზე დადგმული ქვაბებიც.

— ჰაი, ჰაი, რომ მაშინ გავიმართავ! აბა, დღეს სადრა მაქვს? დეიდამ თავის შვილებს მოურთო შობის ხე, შენმა ქალბატონმა კიდევ თავისებს და ჩემთვის-კი ვიღას სცალიან?

კეთილი ზაქრო მწარედ ჩაფიქრა ამ უბრალოდ, მაგრამ გულწრფელად თქმულმა ბავშვის სიტყვებმა. ამ სიტყვებმა მოაგონა თავისი ობლობა, გაჭირვება, ტანჯვა, ვარამი, განვლილი ცხოვრება თვალწინ დაესახა და სული აუშფოთდა, ცოტა ფიქრს შემდეგ, გადასწყვიტა, რათაც უნდა დაჯდეს, ამ ცოცხალ და მკვირცხლ არსებას გამოვტაცებ ხელიდან იმ მტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვალს ქალს, რომელსაც ხელთ ეგდო უპატრონო გიორგის ბედი და შეუბრალებლად სტანჯავდა.

— ბიჭიკო! აქ რომ დაგტოვო ამაღამ და არ გაგიეგანო, რას იზამ, არ შეგეშინდება?

— შემეშინდება, ძია, ღმერთმანი, შემეშინდება.

— მერე რას იზამ?

— რას ვიზამ, ძიწაში ხომ ვერ ჩავძვრები. ვიტირებ, მერე იქნება დამეძინოს და ძილში კი შობის ხე ვნახო...

ახლა-კი გულიანად გადიხარხარა ზაქრომ. დაუფიქრებლად დასწვდა ბავშვს, ალერსიანად ჩაიკრა გულში და ჩაჭკოცნა.

— წამოდი, წამოდი, ჩემო ბიჭიკო. ამაღამ ჩემთან დარჩი და ხვალ დილით-კი ქვა იცეს შეხმა გამზრდელმა თავში.

— ხვალ რომ ძცემს, შენ მიშველი, ძია! ა, მიშველი?

— კი, გიშველი ჩემო ბიჭიკო, ახლა გამომყე, — უთხრა და გაძვრა ფიცრებშუა, სიბნელეში შემოვიდა; ბავშვს ხელი დაუჭირა და გაიყვანა.

— ეს შენ წამოიღე, გიორგი, — უთხრა და მისცა ხელში ფარანი, თვითონ აიღო შუბა და გამოვიდნენ გარედ. ორს წუთს შემდეგ თბილ სამზარეულოში, გაჩაღებულ ბუხარს მიუჯდა გიორგი და სიცივით დაფიჩხებული ხელები მიუშვირა. ბატარა ბიჭი ერთს ხანს იყო ჩაფიქრებული და თვალ დაშტერებით ჩასჩერებოდა წითელ ნაკვერჩხლებს.

— იცი, რა გითხრა, ძია? — კიდევ შეეკითხა თავისებურის კილოთი.

— რა, ბატარავ?

— ძალიან მომწონს ეს შენი სამზარეულო. მოდი სულ შენთან ვიქნები. წყალს მოგიტან, ცეცხლს ავანთებ, ბატონების ფეხსაცმელებს დავსწმენდავ... მოგეხმარები... ღმერთმანი, ძია, მოგეხმარები.

— დეიდა ნებას მოგცემს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადარ მინდა იმასთან ყოფნა... მომბეზრდა... ძალიან მტანჯავს. აბა, რა დავაშავე განა საიმისო, რომ დილას ულმერთოდ მცემა. ქოთნით მაწონი იდგა და მხოლოდ ერთხელ აძოვკარ თითი. მერე ხომ კიდეც დამამწყვდია.

კიდევ ჩაფიქრდა გიორგი.

— არა, შენ თუ არ ამიყვან, მე მაინც წავალ.

— სადა, ბიჭიკო, ან რით იცხოვრებ?

— ვიმუშავებ,—მიუგო ამაყად და მისმა გონიერმა თვალებმა საქმიანის კაცის გამომეტყველება მიიღო.

— ოჰოო, რას იმუშავებ მაინც?

ზაქრო მართლაც გააკვირვა ამ მტკიცედ გამოთქმულმა პასუხმა. თუმცა დიდი ხანია იცნობდა ამ უპატრონო ბავშვს, მაგრამ ესე ბეჯითად თავის დღეში არ უგდია ყური იმის ტიტინისათვის.

— გაზეთის გამყიდავად დავდგები,—მიუგო გიორგიმ უფრო მტკიცედ.

— კარგია... ეჰაღ, ბიჭიკო!—შეაქო ზაქრომ. ამ ლაპარაკში ზაქრო მორჩა თავის საქმეს. სახვალიო სადილისათვის, რაც შეიძლებოდა დღეს გაკეთებულიო, დაამზადა. გიორგის ვახშამი აჭამა. თავის ლოგინის ბოლოში ფალას-ფულასი გაუშალა და დააწვინა. ერთს ხანს კიდევ ელვიძა პატარა ბიჭს. ჭფიქრობდა რაღაცას, მაგრამ ეველაზე მეტად-კი, შობის ხე აწუხებდა.

— ხვალ კიდევ არა უშავდა-რა დეიდასთან ყოფნას,—ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— როგორ?

— შობის ხე უდგათ. ეჰ...—ამოიოხრა. მეორე გვერდზე გადაბრუნდა და გულიანად ამოუშვა ხვრინვა.

მეორე დილით, ქრისტეს შობის დღეს, გიორგი გარიჟრაჟზე წამოხტა ლოგინიდან. ტანისამოს ხელი დაავლო, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარად ჩაიცვა. მერე ჰირის დაბანა მოინდომა, ტაშტსა და წყალს მივარდა. ზაქრო ამდგარიყო და სამოვარში ცეცხლს აჩაღებდა.

— მომილოცავს, ძია, ქრისტეს შობა, მრავალს დაესწარი, — მიესალმა ზაქროს.



— შენც დაესწარი, ჩემო გიორგი. ჰირი დაიბანე და მერე შენს უეინს მიხედე.

უეინის გაგონებაზე, გიორგი შეტრიალდა, კედელთან მიდგმულ მაგიდას შეხედა და სიხარულით ჰირი დააღო: მაგიდაზე ჰაწაწინა შობის ხე იდგა, ევითელ ფოჩიან კამფეტებით, ფორთოხლებით და რაღაც ხილეულით შემკული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ მოგეწონა? — ჰკითხა ზაქრომ.

— რასაკვირველია. ვისია, ჩემი?

— შენი, ჰო, შენი. იმ პირობით გაგიმართე წუხელის, რომ ეველაფერს გამიკეთებ და ჭკვიანად მოიქცევი.

— ჰოი, შენი ჭირიმე! — დაიძახა გიორგიმ, ტაში ტაშს შემოჰკრა, ერთი შეხტა და რკალივით მოეკლო ზაქროს კისერზე.

— ჩემი ბიჭი ხომ არ არის აქ? ის შეჩვენებული სადღაც გადაიკარგა, — შემოილაპარაკა და შემოალო სამზარეულოს კარი მორგვივით მრგვალმა დედაკაცმა. გიორგი გადმოხტა ზაქროს კისრიდან, გაბედულად გამოეჭიმა წინ დეიდას და თავისი შობის ხე ანიშნა.

— აი, დაინახე, მეცა მაქვს შობის ხე... — და შეხედა ზაქროს.

— აი, შე საძაგელო, მთელი ქალაქი შემოვიარე შენს ძებნაში, მე შენ მოგცემ კარგ შობის ხეს, შე არამზადავ. — ამ სიტყვებით წაიწია ბავშვისკენ, რომ დაეთრია თმებით.

— უკაცრავად, უკაცრავად, ქალბატონო, — დაიძახა ზაქრომ.

ქალი აირია, აწითლდა ამ სანახავზე. მისჩერებოდა ხან გიორგის, ხან ზაქროს და ხან-კი შობის ხეს. არ იცოდა, რით აეხსნა უცხო კაცის ასეთი საქციელი. მხოლოდ ახლა გაიღვიძა დიდის ხნის მიძინებულმა მისმა სინიდისმა: „კარეშე კაცი უვლის, მზრუნველობს, თავის შვილივით ეფერება და მე-კი უწეალოდ ვეპყრობი და ვსტანჯავ“, — გაიფიქრა. თითქოს გული მოულბა. ბავშვისადმი სიბრალული იმისმა გულმაც იგრძნო და დაუვაებით უთხრა:

— გიორგი, შვილო! წამოდი.. კატო და ლიზა დიდი ხანია გელოდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ სიტყვებზე გიორგისაც გადაავიწყდა წინანდელი წყრომა და ტუქსვა და მიუბრუნდა ზაქაროს.

— ძია, იმათაც მოვიყვან აქ, ჩემ შობის ხეს ვაჩვენებ, ხომ შეიძლება?

ზაქრომ, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია; გიორგი ელვასავით გავარდა სამზარეულოდან. ქალი ბავშვს გაჰყვა და ზაქრომ ნელის ღიმილით გააყოლა თვალი ორთავეს.

მ. გარიყული.



მთესავი.

(ხალხური თქმულება)

(რუსულიდან)

ბაჩქარებული გარბის მარიამ და იოსებ თან მიჰყავთ ურმა იესო. გაურბიან მეფე ირროდის მხედრობას.

დახნულ მინდორზედ მოუხდათ გავლა. ხნულში მთესავი ჰურის თესლს სთესდა.

— ვინა ხართ და საით მიდიხართ? — ჰკითხა მთესავმა მგზავრებს.

— ჩვენ მივდივართ ეგვიპტეში, ეს არის ძე ჩემი, რომელიც დაგიხსნით ოოველისავე მწუხარებისა და გაჭირვებისაგან. — მთესავმა დაიჩოქა და თაუვანი სცა ქრისტეს.

— გაკურთხოს უფალმა! — სთქვა მარიამმა.

მიმოიხედა მთესავმა და იხილა — ახლად დათესილი მარცვლები უკვე ამოვიდა და მსწრაფულ იზრდება, აი, თავთავიც დაისხა და კიდეც ლამწიფდა.

გაკვირვებულმა მთესავმა თვალები მიაშტერა საოცარ მგზავრებს, სანამ თვალთაგან არ მიეფარნენ...

უცებ გააჭენეს ცხენები ბოროდის მხედრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰეი, შენ! აქ ხომ არ გაუვლიათ მგზავრებს — მამაკაცს და დედაკაცს ურმით? — დასჭეივლეს მთესავს.

— დიახ, გაიარეს!

— როდის?

— სწორედ მაშინ, როცა მე ამ ეანას ვთესდი.

— ჩვენ რომ მივსდევთ, ისინი არ ეოფილან, ამან ეანა დიდი ხანია დასთესა, უკვე თავთავი მოუსხამს, ჩვენ კი ვეძებთ იმ მგზავრებს, რომლებიც წუხელ ღამ გაიქცნენ.

— სხვა გზით წავიდეთ.

მოაბრუნეს ცხენები და სხვა გზით გაჰკურცხლეს, მოშორდნენ განცვიფრებულს მთესავს.

აპოლონ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოჩის ხე.

ფორთულ-მოკაზმულ შობის ხეს,
შტო-ულორტებ ამწვანებულსა,
სანთლებით აფერადებულს,
ცასავით დამძივებულსა

გააქვს კაშკაში, ლაპლაპი;
ცეცხლის ბურთივით კრიალებს,
ზოგან მზის თვალი გამოკრთის,
ზოგან ვარსკვლავი ბდღვრიალებს.

რა გინდა, სულო და გულო,
ან რა ინატრონ თვალებმა,
რომ ნაძვის ხეზე არ ნახონ
ჰაწია მომზირალებმა.

შემოხვევიან ცელქებიც
კაჟინით, ჟრიამულითა
და გარს უვლიან შობის ხეს
სიცილით მხიარულითა.

რიგნი ამბობენ ლექსებსა,
რიგნი მღერიან, გალობენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქვიტობენ, დანავარდობენ,
დარბიან, დაცქრიალობენ.

ჭრელ ჰეჰელათა გუნდივით
სულ მაღლა-მაღლა ფრინავენ
და გამსარებელ შობის ხეს
დიდ მადლობასა სწირავენ.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ფუმფლია.

ბა, ბიჭი რო სწორედ ის არის ეი! ბიჭი და რა ბიჭი! გულადი, მარდი, მოჭიდავე, მომღერალი, მოთამაშე. კოჭებით-ხო ჯიბეები ოოველთვის სავსე აქვს. ეგ ერის ცოტა სახელი არ უვარგა, თორემ სხვა-ფერივ ბიჭია, ნამდვილი ბიჭი!

მაგრამ სახელსაც არა უშავს რა, თვითონ ფუმფლია არა თაკილობს და მგონი არცა-კი იცის ნამდვილი სახელი რა ჰქვიან. ფუმფულია და ფუმფულია! ეველა ასე ეძახის, დიდი და პატარა.

„ფუმფლი, როგორ იყო, რომ მაწვნის ქილაში ხელი გაგეჭედა? როგორ იყო, რომ შენი ქუდი მეზობლიანთ ბრონეულზე ავიდა“? ხშირად მოაგონებდნენ ხოლმე ბიჭები თავის თავ-გადასავალს ფუმფლიას. ის ამაზე სრულებითაც არა ჯავრობდა, თვალებს ეშმაკურად ჩაჰხუჭავდა და გაიღრიჭებოდა თავისი თეთრი კბილებით. ან-კი როგორ იჯავრებდა, როდესაც ეველაფერი ეს მართალი იყო. მართალი იყო, რომ ფუმფლია მაწონს მიჰპაროდა და ხელი ქოთანში გასჭედოდა, ქოთანი გატეხს, ფუმფლიას ხელი გაანთავისუფლეს, მხოლოდ თავისმა დედამ ერთი ორიოდ უცხუნა კისერში. ისიც მართალი იყო, რომ მეზობლიანთ ბრონეულზე აიპარა. მოასწრეს, გადმოხტა და ქუდი-კი ბრონეულის კენწეროზე დარჩა, ეკლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოკიდებული. აბა, უარი როგორ ეთქვა, მართლაც და ქუდი ხომ თავისთავად არ ავიდოდა ბოლოწეულზე! რას იზამ, ბედი არა სწყალობდა ჩვენს ფუმფლიას, თუმცა-კი თვითონ ბიჭი კარგი იყო. საითაც გაივლიდა უეჭველად რამე მარცხი უნდა მოსვლოდა. ერთი სიტყვით ბევრი აინ-ოინი გადახედია ფუმ-ფლიას. თავის ტოლებში გათქმულ ბიჭადაც ითვლებოდა და უიმისოდ უბანში კენჭი არ გადაბრუნდებოდა.

აი, ამ დილასაც ვერცხ-კი მოასწრო მეორე ქალამნის ჩაცმა და გარედან უკვე ეძახიან ბიჭები.

— ფუმფლია! ჰაი, ფუმფლია!

— ჰაუუ! გამოეხმაურათ შინიდან ფუმფლიაც.

— შენ და ღვთის რისხვა! რამოტელი შეჰკივლე შე შეჩვენებულო!—შერისხა გაჯავრებულმა ბებიამ, რომელიც ცეცხლა ჰირას იჯდა თავჩაქინდრული და უცებ შეხტა ფუმფლიას „ჰაუზე“.

ფუმფლიას-კი მისთვის ეურიც არ უთხოვებია, ის ერთს წუთს გაჩნდა თავის მეგობრებთან; მაგრამ გამოჩნდა თუ არა რამდენიმე თოვლის გუნდა შიგ გულში ახალეს ბიჭებმა. ფუ-მფლიამ წარბიც არ შეიხარა. გადახტა წინ, მოიძრო ქუდი და დაუშინა თვითონაც თოვლის გუნდა. გაჩაღდა ომი. ცალ მხრივ ერთი ფუმფლია, მეორე მხრივ გიგა, ვანო და ირემა. თოვ-ლის გუნდა ერთმანეთზე ჰხვდებოდა ფუმფლიას, სახეში, გუ-ლში, თავში, მაგრამ, შენ არ მოძიკვდე, ის უფრო წინ მი-დიოდა. ბოლოს ისა და ვანო ეცნენ ერთმანეთს ხელებით, ფუმფლიამ თავისი მოგვერდი იხმარა, ის არის კიდეც უნდა გააგორონ თოვლში ფალავანი და ამდროს ირემამ ფუმფლიას ფეხი გამოაცალა და ორივე მოჭიდავე დაეცნენ თოვლზე.

ასტუდა სიცილ-ხარხარი. ფუმფლია და ვანო წაქცეულები აერიან ერთმანეთს თოვლს, გორაობენ შიგ. ირემა და გიგა-კი ხან ერთს აქეზებენ ხან მეორეს. იჯერეს გული და წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგნენ ზეზე. ეურები, თმა, ტანისამოსი მთლად თოვლით ჰქონოდათ.

— შვილოსან, სამნი ერთზე-კი ნუ მოდისართ და! უსაყვედურა ფუმფლიამ.

— სამნი თორემ ერთი-კი არ გეყოფათ ი, შენმა მზემ! მიუგო ვანომ, რომელსაც ცალი ქალამანი გაჭხდოდა ბრძოლაში და იმას ისწორებდა.

— ადარ მინდა თოვლაობა, ახლა საუდარი უნდა გავაკეთო.

ამხანაგებს ძალიან მოეწონათ ფუმფლიას აზრი, მაგრამ ცოტა არ იყოს ხელებზე შესცივდათ. ფუმფლია-კი რაღა ფუმლია იქნებოდა, რომ სიცივისა შეეშინებოდა. ის დასწვდა თოვლს, დააგუნდავა, მერე დააგდო ძირს და დაუწყო აგორება. მიაგორებს ფუმფლია გუნდას და გუნდაც თანდათან იზრდება. ის ხან ხელებით აწვება გუნდას, ხან მხრით, მართალია საზეზე თითქის ოფლი მოუვიდა, მაგრამ ხელები-კი ცოტა არ იყოს გაეყინა.

— ირემ, ცეცხლი მაინც დაანთეთ, კაცო, რას უდგეხართ და მიეურებთ, — შეეხმაურა ირემას ისეთი კილოთი, თითქოს უსაყვედურებდა, რატომ არა მშველითო.

მეგობრებს მართლაც ჭკუაში დაუჯდათ ფუმფლიას რჩევა; ეცნენ ღობეს, გამოამტვრიეს ჩხრიმალი და იქავე ღობის ახლოს მალე აანთეს ცეცხლი წუმწუმით, რომელიც ვანომ შინიდან გამოაცუნცულა.

აბრიალდა ცეცხლი, ფუმფლიაც თითქის ვეღარა სძრავს თავის საუდარს, გუნდა გაიზარდა. ის შედგა, რამდენჯერმე დაიორთქლა ხელებზე, მერე მიაწვა თოვლის გუნდას, მაგრამ ხელები აღარ ემოჩილებოდა.

— ჯვარს დავადგამ ახლა... წაიბუტბუტა ფუმფლიამ, მაგრამ ხელებმა მეტის-მეტათ შეაწუხეს. ვეღარ მოითმინა, მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა საუდრის დათავება და გაექანა ცეცხლისაკენ, მიატარა მოატარა ალზე ხელები. მაგრამ, ვაი შენს ფუმფლიას! გათბობის ნაცვლათ ხელებმა ტკივილი დაუწყეს. სცადა ჯიდევ და თითები თითქოს აუკვნესდნენ. დაიღრიჯა ფუმფლია, საშინელი სიმწვავე იგრძნო. თითქოს თითებში ნემსებ თ სჩხვლეტავდნენ, თითქოს ვიღაც სჭრიდა თითებს. იორთქლებს — არ უამდება, იდებს ჰირში თითებს — არც ესა ჭშველის ცრემლები კი ძალა-უნებურად აწვებიან თვალებს. მეტის-მეტი სიმწვავისაგან სახე ეჰრანჭება. რა ქნას, ერთი ცრემლი ჩაოუგორდა ლოყებზე, მას მეორე მოჰყვა. გაიქნია თითები — თითქოს თითები აღარა აქვს, მათ ნაცვლად თითქოს დანის წვერები უბნევია ხელებში.

— რაო, ფუმფლი სტირი? ბებია ხომ არ მოგიკვდა? აიგდეს მასხრათ ბიჭებმა.

მეტის მოთმინება აღარ შეიძლებოდა, დაიღრიჯა უკანასკნელათ, დაადო თავისი დიდი ჰირი, დაიღრიალა და გაიქცა სახლისაკენ. ბიჭები კი იცინიან, უხარიანთ ფუმფლის უბედურება. ის შეეარდა სახლში ხელების ქნევით და ბუხრის წინ დაეცა. მაგრამ არც აქ დაუხვდნენ ალერსით. ბებიამ ერთი ორი მუჯლუგუნი წაჰკრა და ისე მიიუვანა ცეცხლის ახლო. ქუდიც თან არ მოჰყვა ფუმფლიას, ამაზე ხომ მთელი აურ-ზაური აუტეხა ბებერმა. სტირის ფუმფლია, სტირის თვის აკვნესებულ თითებს, თავის ქუდს, ბებიას მუჯლუგუნებს, ამხანაგების დაცინვას, თავის ასეთ შერცხვენას. ეჰ, არა სწეალობს, არა ბედი ფუმფლიას. გამოსდგამს ფეხს თუარა გარეთ უეჭველათ რამე მარცხი უნდა მოუვიდეს!

ზის ფუმფლია ბუხართან და თავისი დაუთავებელი საუდარი უდგა თვალ წინ. ნანობს, რა ჯვარი ვეღარ დაადგა ზევიდან „მერე რა კარგი საუდარი გავაკეთე, ჰა?“ ელაპარაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა თავისთვს ფუმფლია. ხელებიც თანდათან დაუაძდა, თრთოლები ჩაუეუჩდა, გათბა ესიამოვნა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— ფუმფლი! ჰაი ფუმფლიაა!.. გამოდი ჩიტებს კაკანათი დაუგოთ! შემოესმა ფუმფლიას გარედან ირემას ხმა.

— ჰა ჰაი, ჰაუუ, მოვდივარ, მო!..—გაესმაურათ ფუმფლიაც. მთლად გადაავიწყდა თავისი ხელების ამბავი. ვერც კი მოასწრო ბებიამ ახალუხის კალთაში წასწდომოდა, რომ არ გაეშვა გარედ და ფუმფლია უკვე ეზოში მიბზრიალებდა ამხანაგებისაკენ.

არა, ოჩაღი ბიჭია, ოჩაღი, ჩვენი ფუმფლია, მართალია მარცხი თავიდან არა ჰშორდება, ესლაც შეიძლება ჩიტების მაგივრად თითები მოატანოს კაკანათში, მაგრამ სამაგიეროთ ატანაც იცის. მაშ, ბიჭია და ნაქები ბიჭი ჩვენი ფუმფლია!

ი. ევდოშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგელი და მეცხვარე.

(იგავი)

მგელი ღამით ცხვრის ფარეხში შეპარულიყო, ერთის ცხვრისთვის ბირი ჩაევლო და, ის იყო, გატაცებას უპირებდა.

— ვინა ხარ, რისთვის შემოსულხარ?— დაიძახა მეცხვარემ, როცა შენიშნა, რომ ფარა შეზარხოლდა.

— ნათლიმამ, ეს ცხვარი ფარეხს გარედ დაგრჩენოდა და შინ შემოვიყვანე, რომ მტერმა არაფერი ავნოს, —იცრუა მგელმა, როცა ნახა, რომ მეცხვარეს ხელში გამზადებული თოფი ეჭირა.

— ღმერთმა სამაგიერო ბატივისცემა კვლავ მეც შემაძლებინოს,— მიუგო მეცხვარემ,—ამხელად კი, ნურას უკაცრავად, თუ მარტო ერთის ტყვიით შემიძლიან გამასწინძლებაო.

იგრიალა თოფმა და ფიცხლავ მგელს ფეხები ააფშეკინა.

ალ. მირიანაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თივის მთიგანი ცხოველები.

(თარგმანი)

ციმბირში არის ერთნაირი ჰატარა ცხოველი — სახელად „თივის დამდგმელი". ბინას იკეთებენ კლდეებს შუა. ყოველ წლივ, მარიამობისთვეში ბალახს აგროვებენ და ჭეენენ მზეზე გასახმობად. ენკენისთვეში ბალახი ხმება. გამხმარ ბალახს თათებით აგროვებენ და თივის ზვინსა სდგამენ, როგორც ადამიანები. თივის ზვინი სიმაღლითა და სიგანით ერთ საჟენამდე ადის. მოგზაურები ჰკვირობდნენ, რომ ადამიანის ბინას ასის ვერსის მანძილზე ვერა ჰპულობდნენ და თივის ზვინები კი გამწკრივებული იყვნენ და ისიც სამაგალითო სახერხო ალაგებზე: სადმე კლდის უკან, სადაც ნიავლვარი ვერ მოიტანებს. ამ თივის ზვინებს სდგამენ ცხოველები და არა ადამიანები. ეს ცხოველები თივით იკვებებიან და ზამთრისთვის უგროვებიათ სარჩო.

ო. ჭრელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა რ ა დ ა

ჰირველი ნიშნავს თანხმობას
რაზედმე იმერ კაცისას;
მეორეს—წინად აძლევენ
ნაწილს რაიმე ფასისას.

მთელი —ავეჯი სოფლადა
მაღლა ვინც ასასვლელია,
ქალაქებში კი ხალხისთვის
საჭირო მისადგომელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

პ ა მ ბ ა ს ი



, ნ

„ვ



"

ვ"

ნ

ნ

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი: თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

открыта подписка на 1911 г.

на еженедѣльную общественно-педагогическую газету

ШКОЛА и ЖИЗНЬ

Съ ежемѣсячными приложеніями

Въ книжкахъ приложеній, которыя за годъ составятъ около 80 печатнихъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранних авторовъ, старыя класическія, или выдающіяся новѣйшія, или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложеній будутъ посвящены **памяти Л. Н. Толстого, Н, И. Пирогова и работамъ извѣстнаго нѣмецкаго педагога Кершенштейнера.** Въ числѣ приложеній—три сборника, спеціально посвященные нашей **низшей, средней и высшей школѣ.**

Газета издается по слѣдующей программѣ: 1) Руководящія статьи по вопросомъ: а) организаціи школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія: дѣятельность законодательныхъ учрежденій, правительства, мѣстнаго самоуправленія и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и заграницей. 7) Обозрѣніе спеціальной литературы русской и иностранной. 8) Справочный отдѣлъ съ подотдѣломъ отвѣтовъ редакціи на запросы подписчиковъ.

Въ газетѣ принимаютъ участіе. въ числѣ прочихъ, слѣдующія лица:

Проф. М. М. Алексѣенко, акад. В. М. Бехтеревъ, проф. И. И. Боргманъ, И. П. Бѣлоконскій. проф. В. А. Вагнеръ, В. П Вахтеровъ, акад. В. И. Вернадскій В. А. Гердъ. проф. Н. А. Гредескулъ, проф. Д. Д. Гриммъ Я. Я. Гуревичъ, проф В. Я Данилевскій, Я. И. Душечкинъ, Е. А. Звягинцевъ, проф. П. ф. Каптеревъ, проф. М. Я. Капустинъ проф. Н. И. Карѣевъ, проф. М. М. Ковалевскій, акад. А. Ф. Кони, проф. Н. Н. Ланге, А. Л. Липовскій, проф. И. В. Лучицкій, проф. А. А. Мануйловъ, П Н. Милюковъ, Н. Ф. Михайловъ, проф. А. П. Нечаевъ. акад Д. Н. Овсянико-Куликовскій, Ф. Ф. Ольденбургъ, А. Н. Острогорскій, А. Б. Петрищевъ, И. И. Петрункевичъ, А. С. Пругавинъ, Н. А. Рубакинъ, М. А. Стаховичъ, І. В. Титовъ. Д. И. Тихомировъ, графъ И. И. Толстой, Н. В. Тулуповъ, проф. Г. В. Хлопинъ, В. И. Чарнолускій, проф. Г. И. Челпановъ, Н. В. Чеховъ, П. М. Шестаковъ, А. И. Шингеревъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Изъ иностранныхъ ученыхъ, между прочимъ, обѣщали свое участіе въ газетѣ слѣдующія лица: проф. Ренэ Вормсъ, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Бюссонъ, де-Гревъ и др.

Редакція газеты имѣетъ кореспондентовъ въ разныхъ городахъ Имперіи и спеціальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтѣ и Г. думѣ.

Подъ общей редакціей **Г. А. Фальборка.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой, въ города Имперій. на годъ **6 руб.** на 6 м. **3 руб.** на 3 м. **2 руб.**

Принимается подписка на два мѣсяца—съ 1 ноября до конца года—1 р.

Для учащихъ въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка по 1 р. за каждые 2 мѣсяца. Лица подписавшіяся до 1 января 1911 г. получатъ газету въ 1910 г. безплатно.

Газета выходитъ съ ноября мѣсяца. Пробные №№ высылаются безплатно.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, **Петербургъ, Кабинетская, № 18,** тел. 547—34 во всѣхъ почтово-телеграфныхъ конторахъ Россіи и въ книжныхъ магазинахъ.

Объявленія принимаются въ Главной К[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი VII — წელიწადი VII

გამოვა 1911 წელს იმავ პროგრამმით.

ფასი წლიურად:

მოზრდილთათვის **12** წიგნი 3 მანეთი |)(| მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი 3 მან.

ერთად, მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის, 36 წიგნისა — 5 მანეთი.

ნახევარის წლით ვინც გამოიწერს, ორივეს ერთად — 3 მანეთი.

სახელქრად ხელის მომწერლებს მიეცემათ: 1) ლევ ტოლსტოის მოთხრობა „-ბავ შვოგა და სიყრმე“, თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით ‡ ბიოგრაფიი 2) რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში, გოლოვინის ბრ. სახ. № 8 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა